საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის

ბრძანება №8

2019 წლის 4 სექტემბერი

ქ. თბილისი

„ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის№116 ბრძანების დანართში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმ IV, №32, 02.11.06) №3 დანართში, სადაც მოცემულია იმ იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან №35 ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების №1 დანართში მოცემული რედაქციით.

2. „ტერორისტთა და ტერორიზმის ხელშემწყობ პირთა სიის შესახებ“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2006 წლის 31 ოქტომბრის №116 ბრძანების (სსმIV,№32,02.11.06)№2 დანართში, სადაც მოცემულია იმ ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან, დაემატოს დანართ №2-ში მოცემული მონაცემი.

3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვალერიან ხასაშვილი

დანართი 1

იურიდიულ პირთა სია, რომლებიც დაკავშირებულნი არიან მოძრაობა თალიბანთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან

	ორგანიზაციის დასახელება	დასახელების სხვა ვარიანტები	მისამართი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია
35.	AL-ITIHAAD AL-ISLAMIYA/ AIAI			**06.10.01** (ცვლილებები 21.12.07 13.12.11 18.03.13 09.08.19)	არსებული ინფორმაციით, მოქმედებს სომალსა (Somalia) და ეთიოპიაში (Ethiopia) და შეუერთდა Harakat Al-Shabaab Al-Mujaahidiin–ს (Al-Shabaab), რომელიც 2012 წლის თებერვალს აიმან მუჰამედ რაბი ალ–ზავირის (Aiman Muhammed Rabi al-Zawahiri) მიერ მიღებული იქნა, როგორც Al-Qaida–ს ნაწილი. ასევე, შეეხო სომალისა და ერიტრეას შესახებ გაეროს 1844 (2008) რეზოლუციით დაწესებული სანქციები . მეთაურები: ჰასან დაჰირ ავეისი (Hassan Dahir Aweys). AIAI–მ მიიღო ფულადი სახსრები Al-Haramain Islamic Foundation–საგან (სომალი) (Somalia).

დანართი 2

ფიზიკურ პირთა სია, რომლებიც შედიან ორგანიზაცია ალ-ქაიდაში ან დაკავშირებულნი არიან მასთან

№	პირადი ინფორმაცია (სახელი(ები), დაბ. თარიღი და ადგილი, ეროვნება/	ფსევდონიმი(ები), ზედმეტი სახელი(ები)	პასპორტის მონაცემები, პირადი ნომერი	მისამართი (ები), შესაძლო ადგილსამყოფელი	სიაში შეყვანის თარიღი	სხვა ინფორმაცია

	მოქალაქეობა)					
1	2	3	4	5	6	7
410	***სახელები:*** 1. ალი (ALI) 2. მაჩოუ (MAYCHOU) ***დაბ.თარიღი:*** 25.05.83 ***დაბ.ადგილი:*** ტაზა, მაროკო ***ეროვნება/მოქალაქეობა:*** მაროკოელი	ა) აბდერაჰმანე ალ მაღრები (Abderahmane al Maghrebi) ბ) აბდერაჰმანე ლე მაროკაინ (Abderrahmane le Marocain) გ) აბოუ აბდერაჰმანე სანჰაჯი (Abou Abderahmane Sanhaji)	მაროკოს პასპორტის ნომერი: V06359364 მაროკოს პირადი ნომერი AB704306	მალი	**14.08.19**	Al-Qaida in the Islamic Maghreb (AQIM)-ის (იურიდიულ პირთა სიაში 111-ე), Ansar Eddine-ის (იურიდიულ პირთა სიაში 137-ე) და Jama'a Nusrat ul-Islam wa al-Muslimin (JNIM)-ის (იურიდიულ პირთა სიაში 158-ე) წევრი. ფიზიკური აღწერილობა: სიმაღლე 185 სმ. წონა 80კგ.
411	***სახელები:*** 1. ბაჰ (BAH) 2. აგ მოუსსა (AG MOUSSA) ***დაბ.თარიღი:*** ა) 01.01.1958 ბ) 31.12.1952 გ) 28.10.1956 ***დაბ.ადგილი:*** ***ეროვნება/მოქალაქეობა:*** მალი	ა) Ag Mossa ბ) Ammi Salim გ) დ)			**14.08.19 (ცვლილება 20.08.19)**	Ansar Eddine-ის (იურიდიულ პირთა სიაში 137-ე) დამფუძნებელი წევრი. Jama'a Nusrat ul-Islam wa al-Muslimin (JNIM)-ის (იურიდიულ პირთა სიაში 158-ე) ოპერატიული ლიდერი.